# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 238. ხუთშაბათი, 22 ივლისი 1904 წ. გაზეთის № 2561


## ის იყო!

ა. ჩეხოვისა.

— გვიამბეთ რამე, პეტრ ივანიჩ!—შეეხვეწნენ ახალგაზდა გასათხოვარი ქალები.

პოლკოვნიკმა გადიგრიხა ჭაღარა ულვაშები, ჩაახველა და დაიწყო:

— ეს ამბავი მოხდა 1843 წ., როდესაც ჩვენი პოლკი ჩენსტოხოვის მახლობლად იდგა. იმ წელს ცივი ზამთარი იყო, ასე რომ ყოველ დღე ყარაულებს ცხვირი ეყინებოდა და ქარ-ბუქისაგან გზაც არა სჩანდა. ყინვები დაიწყო ნოემბერში და აპრილამდის განუწყვეტლივ გასტანა. უნდა მოგახსენოთ, ასე მოხუცი და დაბეჩავებული როდი გახლდით; იმ დროს ისეთი ყოჩაღი და მოხდენილი ვაჟ-კაცი ვიყავ, რომ ყოველ ჩემს მოძრაობაში ძლიერი მხნეობა და სიცოცხლე სჩანდა. ტანთ ვიცვამდი სამაგალითოდ, ვფანტავდი აუარებელ ფულს და ულვაშებს ვიგრეხავდი ისე, რომ მთელ დედა-მიწაზე ვერც ერთი პრაპორშჩიკი ვერ შემედრებოდა. ხშირად საკმარისი იყო ჩემი თვალების ჩაკნინება, დეზების წკრიალი, ულვაშის გადაგრეხა, რომ ამაყი და მშვენებით სავსე ქალი ჩემს მორჩილ მონად გადაქცეულიყო. მიყვარდნენ ქალები, როგორც ბუზი ობობას, და რომ ჩამოგითვალოთ, ჩემო ქალბატონებო, რამდენ პოლონელ ან ებრაელ ქალს შემოუხლართავს ჩემს კისერზედ ხელები, გარწმუნებთ, რიცხვი არ მეყოფოდა იმათ სიმრავლის გამოსახატავად. ამას ზედ დაუმატეთ, რომ მე პოლკის ადიუტანტი ვიყავ, საუცხოვოთ ვცეკვობდი მაზურკას და ცოლად მყავნდა ულამაზესი ქალი, — მიანიჭე, უფალო, სასუფეველი იმის სულს! რანაირი მოუსვენარი და გიჟ-მაჟი გახლდით, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ. თუ მაზრაში მოხდებოდა რამე, სიყვარულით გამოწვეული, თუ ვინმე ურიას წვერს დააგლეჯდა ან პოლონელ აზნაურს ცხვირ-პირს დაამტრევდა, ყველამ იცოდა, რომ ეს პოდპორუჩიკ ვივერტოვის საქმეა.

როგორც ადიუტანტს, ხშირად მხვდებოდა სიარული მაზრაში: ხან ქერსა და თივას ვყიდულობდი, ხან მივყიდდი უვარგ ცხენებს ურიებს და პოლონელებს, უფრო ხშირად კი მივეჩქარებოდი სატრფოს სანახავად ან ბანქოს სათამაშოდ მდიდარ პოლონელ მემამულეებთან. შობის წინა ღამეს, როგორც ეხლა მახსოვს, ჩენსტოხოვიდან სოფ. შეველკისკენ მივდიოდი: ჰყინავდა ძლიერ, ასე რომ მე და ჩემი მეეტლე ნახევარ საათის შემდეგ ორ დიდ ყინულად გადავიქეცით. შუა გზაზედ ამოვარდა ძლიერი ქარი; თოვლმა შეჰქნა თამაში ჰაერში, ქარი ზუზუნებდა, გზა დაიკარგა... ათი წუთის შემდეგ ჩვენს გარშემო თოვლის მეტი არა-რა სჩანდა.

— ბატონო, გზა დავკარგეთ!—მითხრა მეეტლემ.

— აი, ეშმაკმა წაგიღოს! რას უყურებდი, შე გამოტვინებულო? გასწი პირდაპირ, იქნებ სოფელს წავაწყდეთ!

დიდი ხნის სიარულის და პროწიალის შემდეგ, ასე შუაღამისას წავადექით მდიდარ პოლონელ გრაფ ბოიადლოვსკის ალაყაფის კარებს. პოლონელი და ურია ჭირივით მძულს, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ პოლონეთის აზნაურობა პურ-მარილობის მოყვარული ხალხია, და პოლონელ ქალსავით მგრძნობიერი სხვა ქალი არ მოიპოვება.

ბინა მოგვცეს. თვითონ ბოიადლოვსკი იმ ჟამად პარიზში სცხოვრობდა და ჩვენ მიგვიღო მოურავმა, კაზიმირ საპკინსკიმ. არ გასულა ერთი საათი, რომ უკვე ვიჯექით მოურავის სახლში, მის ცოლს ვეარშიყებოდი, ვსვამდი ღვინოს და ბანქოს ვთამაშობდი. მოვიგე ხუთი ოქრო, კარგად გადავკარი და ვსთხოვე, დასაძინებლად ბინა მოეცათ. რადგან მოურავს თავისუფალი ოთახი არა ჰქონდა, დასაძინებლად დამითმეს გრაფის სასახლეში ერთი ოთახი.

მოჩვენებისა ხომ არ გეშინიანო?—მკითხა მოურავმა, როდესაც შემიყვანა პატარა ოთახში დიდ, ცარიელ და ცივ ზალის გვერდით.

განა აქ მოჩვენებანი არიან?—ვკითხე და თან ყურს ვუგდებდი, როგორ ყრუთ გაისმოდა ჩემი სიტყვები და ფეხის ხმა.



ახლად გარდაცვალებული პავლე კრიუგერი
(ტრანსვაალის ყოფილი პრეზიდენტი)

— არ ვიცი,—ჩაიცინა მოურავმა,—მხოლოდ მე მგონია, რომ მოჩვენებათათვის ეს სახლი საუკეთესო ადგილია.

ძალზე გადაკრული ვიყავ, მაგრამ ამ სიტყვებისაგან ჟრუანტელმა მაინც დამიარა მთელს ტანში. [illegible]

ქეზი, მინამ ერთი მოჩვენება! რას ვიზამდი, გავიხადე და დავწექი... სანთლის მკრთალი შუქი ძლივს ბჟუტავდა, კედლებზე კი, წარმოიდგინეთ, წინაპართა სურათები, ერთი მეორეზე საშიშარი, ძველი იარაღი, სანადირო ბუკები და სხვა ამ გვარი... სამარისებური სიჩუმე იდგა, მხოლოდ ზალაში ფაჩუნებდნენ თაგვები და დრო-გამოშვებით ქაქანს მოიღებდა გამხმარი მებელი. გარედ კი ჯოჯოხეთური რამ ხდებოდა: ქარი ზუზუნებდა, ხეები იზნიქებოდა ჭრაქა-ჭრუქით; რაღაც უბედურება, მგონი ფანჯრის დარაბი, გულის შემზარავად ჭრიალებდა და ეხლებოდა ფანჯრების ჩარჩოს. ამას დაუმატოთ ისიც, რომ მე თავბრუ მესხმოდა და თან მთელი ქვეყნიერება ტრიალებდა. თვალს დავხუჭავდი თუ არა, ასე მეგონა, ჩემი სარეცელი დაფრინავს მთელს სახლში და მავნე სულებს ეთამაშება. შიშის გასანელებლად თავდაპირველად სანთელი გავაქრე, რადგან ცარიელი ოთახი სინათლეში უფრო შიშის მომგვრელია...

ქალები მიუახლოვდნენ პოლკოვნიკს და გაუნძრევლად შესცქეროდნენ თვალებში.

— რამდენიც ვეცადე,—განაგრძო პოლკოვნიკმა,—მაგრამ ძილი მაინც არ მიეკარა ჩემს თვალებს. ხან მომეჩვენებოდა, რომ ქურდები მოძვრებიან ფანჯარაში, ხან ჩუმი ლაპარაკი მესმოდა, ხან თითქო ვიღაც მხარზე მადებდა ხელს; ერთის სიტყვით, მელანდებოდა ყოველი უცნაურება, რაც მოელანდება მხოლოდ ნერვებ-აშლილ ადამიანს. მაგრამ წარმოიდგინეთ, უცბად გარკვევით შემომესმა ფეხის ხმა. დავუგდე ყური, მესმის, რომ ვიღაც მოადგა ოთახის კარებს, ჩაახველა და გააღო იგი...

— ვინა ხარ? შევეკითხე და წამოვდექი.

— მე ვარ... ნუ გეშინიან! — მომესმა ქალის ნაზი ხმა...

კარებისკენ წაველ... გაიარა ორიოდე წუთმა და ვიგრძენ, რომ ორი რბილი ხელი დაეშვა ჩემს მხრებზე.

—მიყვარხარ... სიცოცხლეზედ ძვირფასი ხარ ჩემთვის,—მომესმა ქალის ხმა.

ჩემს ლოყაზე ვიგრძენ ქალის ცხელი სუნთქვა. დავივიწყე ქარ-ბუქი, მოჩვენებანი, დავივიწყე ყველაფერი და მოვხვიე ხელები ქალის წერწეტ ტანს. იმისთანა ქმნილებას ბუნება მხოლოდ ათ წელში ერთხელ შექმნის: საგანგებოდ გამოქანდაკებული, მწვავი, ვით ცეცხლი, ნაზი, ვით ფშვინვა ახლადშობილ ყრმისა. ვერ მოვითმინე და მძლავრად ჩავიკარ გულში. გაისმა ხანგრძლივი, თავბრუ-დამსხმელი კოცნა... და ვფიცავ მთელ ქვეყნიერების მანდილოსნების სახელს, ის კოცნა სიკვდილამდის არ დამავიწყდება.



მაცდური.—სურათი მაიგნანისა.

პოლკოვნიკი ჩაჩუმდა, დალია ნახევარი ჭიქა წყალი და ხმა-დაბლა განაგრძო:

— მეორე დღეს რომ გავიხედე ფანჯარაში, დავრწმუნდი, რომ ამინდი უფრო უარესი იდგა. მგზავრობა ყოვლად შეუძლებელი იყო. მთელი დღე ვიჯექ მოურავთან, ვეთამაშებოდი ბანქოს და ვსვამდი. საღამოზე კვლავ ვიწექ ცარიელ სახლში და კვლავ ვეხვევოდი ჩემს მოჩვენებას. დიახ, ქალებო, სიყვარული რომ არ ყოფილიყო გაჩენილი, მოვკვდებოდი. ალბად ლოთობას მივყოფდი ხელსა.

პოლკოვნიკმა ამოიოხრა, ადგა და ჩუმად დაიწყო სიარული სასტუმრო ოთახში.

— მერე... რა მოხდა შემდეგ? —ჰკითხა ერთმა მსმენელთაგანმა.

— არაფერი. მეორე დღეს უკვე გზას გავუდექი.

— კარგი, მაგრამ.... ვინ იყო ის ქალი? —ჰკითხეს გაუბედავად ქალებმა.

— როგორ თუ ვინ იყო?

— ჰო და ვინ იყო?

— რასაკვირველია, ის იყო!

— ვინ ის?

— ჩემი ცოლი!

სამივე ქალი ფეხზე წამოვარდა, თითქოს ვინმემ უკბინაო.

— ესე იგი... ეგ როგორ მოხდა?—იკითხეს ქალიშვილებმა.

— ღმერთო ჩემო, გაუგებარი აქ რა არის? —მიუგო პასუხი მოთმინებიდან გამოსულმა პოლკოვნიკმა და მხრები ასწია.—მგონი გარკვევით ნათლად გელაპარაკებოდით! მივდიოდი შევალკისკენ ცოლითურთ... ისიც იქვე ათენებდა ღამეს, მეზობელ ოთახში... მგონი ადვილი მისახვედრია!

— ჰოოო...—წაიდუდუნეს ქალებმა და მოლოდინის გამტყუნებულებმა ხელები ძირს დაუშვეს.—დაიწყეთ სამაგალითოდ და გაათავეთ კი ღმერთმა უწყის როგორ... ცოლი... მოგვიტევეთ, მაგრამ აქ საინტერესო არასფერია და... არც ჭკვიანური რამ არის.

— მიკვირს! მაშ თქვენ გინდათ, რომ ჩემი კანონიერი ცოლი კი არა, სხვა ვინმე ქალი ყოფილიყო! ეჰ, ქალებო,



ბეთჰოვენი, გამოჩენილი კომპოზიტორი — სურათი ვულფისა.

ქალებო! ეხლა თუ აგრე სჯით, რას იტყვით მაშინ, როცა დათხოვდებით?

ქალებს შერცხვათ და ჩაჩუმდნენ; გაიბუტნენ, შუბლი შეიკრეს და, სრულიად იმედ-გაცრუებულებმა, მთქნარება დაიწყეს. ვახშმად არა უჭამიათ რა, პურის გულს აგორავებდნენ და ხმას არ იღებდნენ.

— არა, ეს... ეს უსვინდისობაა!—ვერ მოითმინა ერთმა და წამოიძახა—რათ დაიწყეთ, თუ აგრეთი ბოლო მოსდევდა? არასფერი საინტერესო თქვენს ნაამბობში არ არის... თითქმის ველურობაა.

— ისე კარგათ დაიწყეთ და... უცბათ შესწყვიტეთ...— ჩაურთო მეორემ.—დაცინვაა, სხვა არასფერი.

— კარგი, კარგი, ვიხუმრე...—უთხრა პოლკოვნიკმა.— ის ჩემი კი არა, მოურავის ცოლი იყო...

— მართლა?!

ქალები უცბად გამხიარულდნენ, თვალები გაუბრწყინდათ... ახლო მიუცოცდნენ პოლკოვნიკს და თან ღვინოს უსხამდნენ, თანაც კითხვებს კიდევ აძლევდნენ. გაჰქრა მოწყენილობა და მასთან ერთად ვახშამიც, რადგან ქალებს მადა მოუვიდათ.

გ. მ.

## მეგობრის სახსოვრად

გახეთქა გული სევდამ და ჯავრმა!
თავი რით ვიხსნა, ვერ მოვიგონე;
ნაღვლის მორევი ჩაგუბდა მკერდში
და სასიცოცხლო აღარ მაქვს ღონე!
ღელვა ვნებათა მწვავის როყინით
ტანჯვის შხამს ანთხევს ჩემს არსებაში,
მინდა ვიხმარო ძალა გონების,
მაგრამ კვლავ ძალა ვერ ვპოვე მაში!
როგორც ღელვის დროს ნავი ოკეანს
ემორჩილება და ემონება, —
ისე მშფოთართა გრძნობათა ვნებას
ეყმობ-ეშიშვის ჩემი გონება.
სული შემკრთალა და დამცემია:
ის გრძნობათ დუღილს წაულეკია,
ვნება ზვიადობს და სულს კი მის წინ
ქედი უძლურად მოუდრეკია...
ოჰ, მას ვინ იგრძნობს, როგორ ვიტანჯვი!?
ტანჯვა თუმცა კი ხვედრია ჩემი,
მაგრამ ყოველთვის არ იძირება
ტალღათ შფოთვის დროს მებრძოლი გემი!
მე კი დავსუსტდი და ველარ ვიბრძვი:
გულში ცეცხლი სდუღს, სულში კი ბნელა,
და ეს ცხოვრების გულ-მშფოთარი ზღვა
თვის უფსკრულთაკენ მძირავს ნელ-ნელა!
ხელს ვაპყრობ ცისკენ და ცა არ მწყალობს!
ჩვენს შორის დიდ-ხნით გასწყდა კავშირი:
მისგან ღანაბად ბოროტებისთვის
გმობა სმენია ჩემგან მას ხშირი!
მხოლოდ ვარსკვლავთა ბნელ-მოსილ ცაზედ
გააქვთ ხან და ხან ციმციმი წყნარი:
ასე გაკრთება ტკბილ მოგონებით
მგლოვარ ტუჩებზედ ღიმილი მწარი.
ძირს ველს გავსცქერი თვალ-გაუწდომელს:
მწვანე ხავერდად ცას გაჰგებია,
მდინარე ზოლად, ბუჩქნი სამოსლად,
ცვარნი გულს თვლებად დალაგებია.
მაგრამ გასართობს ჩემი გონება
ვერ-რას ვერ ჰპოვებს ამ მტკბარს არეში:
გული ზვიადობს... სული კი მუნჯობს,
ვით დიდ-ხნის მკვდარი ცივ სამარეში...
დამწვა ნაღველმა და დამცა სრულად!
ოჰ, ვის მივმართო?! ვის ვსთხოვო შველა?!
ვით ლოკოკინა თავის ხოჭოჭში,
ისე თვის გულში ჩამძვრალა ყველა!..
სამყაროს ყოველ ზღუდე-კუთხეში

მოვარონინე გონების თვალი
და დღეს დავრწმუნდი, რომ მე ამ ქვეყნად
არვინ მყოლია ჭირისუფალი.
მხოლოდ შენ ერთი, შენ მყავდი აქ მე!
შენ აქ აღარ ხარ, მე დავრჩი ობლად!
შენ მანდ შორს წევხარ ცივ-სამარეში,
მე კი, ვით ჩრდილი, დავდივარ სოფლად!
ოჰ, მეგობარო! ნუ თუ არ გესმის
ამ გულის ცრემლი, ამ სულის კვნესა?!
შენს უკვდავ, კეთილ სულის სურათსა
ჩემს გულში ვხედავ მე ყოველ დღესა!
ეგ სახე შენი, ვითა ოცნება,
თვალ წინ მიდგია ძილში და ცხადში,
ხმაც ტკბილი შენი ნაზ ჰარმონიად
ციდგან მომესმის საღმრთო ღაღადში.
მე აქ დავსუსტდი და დავიღალე!
ბედი არ ერთხელ დამიწყევია;
ცხოვრება ჩემი გაშხამ-ძირმწარდა,
დღეს საუკუნოდ გადამქცევია...
ოჰ, მეგობარო! ღონე აღარ მაქვს,
აზრი გამოდნა ჩემს საწყალ თავში:
შენი ტოლები აქა სტკბებიან,
შენ კი მიწევხარ მანდ შავ-საფლავში!
მაგრამ შენ ტოლი აქ სადა გყავდა?
ვინ შეგედრება შენ ქალთა შორის?!
ვინ შეადაროს ჭაობის ჰაერს
წმინდა ჰაერი მაღალ მთა-გორის!..
მე აქ გულს ვეძებ—ვერ ვპოვე გული!
გრძნობა ვეძიე—სადღაა გრძნობა?!
გული დაჰფარეს და სათვალთმაქცოთ
მიჩვენეს სახე და გარეგნობა.
შენ კი სხვა იყავ!—შენს ციურ სახეს
ავსებ-ამკობდა ციური გული;
დღეს გაჰქრა ყველა... დავრჩი მარტოკა,
მიმკვდარ-მილეულ-მიყრუებული...
ოჰ, მეგობარო! ეჭვი მაშფოთებს:
იქნებ ცხოვრება ისპობა აქვე
და საიქიოს ამბავ-მოთხრობა
არის ჩვენი ყრუ გონების საქმე?!
ეს თუ ასეა, რა დამრჩენია?
მე მანდ რა მინდა, თუ შენ ვერ გნახავ!
შენს სახეს ამ ჩემ აზრთა მკირცხლ ფრთებზე
მწველ გრძნობით ვხატავ და გულს ვიმარხავ!
და მე თუ დღემდე კიდე ცოცხალ ვარ,
ეს მით კი არა, რომ თავს ვზოგავდე:
შენ მყავხარ გულში და ვუფრთხილდები,
რომ ჩემს სიკვდილთან შენც არ გათავდე!

ცახელი.



ბაღი მანგლისში. მოაგარაკენი იხრჩობიან სიმყრალისაგან.



მანგლისის მოაგარაკეთა გართობა: სოკოების ძებნა და მოტაცება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.